დანართი №3

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სერტიფიკატისა და მოწმობის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს წესი ადგენს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) სერტიფიკატისა და მოწმობის გაცემის სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 2. სერტიფიკატისა და მოწმობის მიღებაზე უფლებამოსილი პირები

1. სერტიფიკატი გაიცემა პირზე, რომელმაც:

ა) გაიარა უნივერსიტეტის 60 კრედიტიანი პროგრამა პედაგოგიკაში;

ბ) დაამთავრა უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის მეორადი სწავლების კურსი;

დ) დაამთავრა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

2. მოწმობა გაიცემა პირზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობდა აკადემიურ პროგრამაზე, თუმცა არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური.

მუხლი 3. სერტიფიკატისა და მოწმობის შემუშავება

1. სერტიფიკატისა და მოწმობის ფორმებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი.
2. სერტიფიკატისა და მოწმობის ფორმები მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 4. სერტიფიკატსა და მოწმობაში შესატანი ინფორმაცია

1. სერტიფიკატისა და მოწმობის დამტკიცებულ ფორმაში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) პირის სახელი და გვარი, რომელზეც გაიცემა სერტიფიკატი ან მოწმობა;

ბ)ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდისა და პროგრამის დასახელების მითითებით(სერტიფიკატის გაცემის შემთხვევაში);

გ)ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდის შესახებ, შესწავლილი დისციპლინებისა და შესაბამისი შეფასებების მითითებით (მოწმობის შემთხვევაში);

გ) რექტორის ხელმოწერა, სახელი და გვარი ბეჭდურად;
დ) სარეგისტრაციო ნომერი;
ე) გაცემის თარიღი;
ვ)უნივერსიტეტის ბეჭედი.

2. სერტიფიკატი და მოწმობა ივსება სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 5. სერტიფიკატისა და მოწმობის გაცემა

1. სერტიფიკატი (ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის მეორადი სწავლებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრებულთათვის) გაიცემა უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარდგინებისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე;
2. სერტიფიკატი (პედაგოგიკის 60 კრედიტიანი პროგრამის დამთავრებულთათვის) გაიცემა უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე;
3. მოწმობა გაიცემა უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე;
4. სეტიფიკატისა და მოწმობის შევსებას, აღრიცხვასა და გაცემას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი;
5. ამ წესის მე–2 მუხლით განსაზღვრულ პირებზე სერტიფიკატი ან/და მოწმობა გაიცემა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში;
6. უფლებამოსილ პირზე სხვა პირის სერტიფიკატი და მოწმობა გაიცემა ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

მუხლი 6. ახალი სერტიფიკატისა და მოწმობის გაცემა

1. სერტიფიკატისა ან მოწმობის დაკარგვის ან მათში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში უნივერსიტეტს უფლება აქვს გასცეს ახალი სერტიფიკატი ან მოწმობა.
2. ახალი სერთიფიკატის ან მოწმობის მისაღებად უფლებამოსილი პირი დასაბუთებული განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს.